გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №60

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148) განთავსებული N7 (ფართობი: 10,52 კვ.მ) უძრავი ქონების (კომერციული დანიშნულების ობიექტი), პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2023 წლის 8 დეკემბერს (N19/2023342298-20) შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ს/კ 66.45.18.148) მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე N7 კომერციული დანიშნულების ობიექტის (მის: სტალინის და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი - მაღაზია - N7 ფართობი: 10.52 კვ.მ) იჯარის ფორმით გადაცემა კომერციული საქმიანობისთვის.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 28 თებერვლის N 058-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ქ. გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩების კვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელიდან (ს/კ 66.45.18.148, შენობის საერთო ფართი - 164.92 კვ.მ) N7 (ფართობი: 10,52 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 15000,00 (თხუთმეტი ათასი) ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში

შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N7 (ფართობი: 10,52 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტის, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N7 (ფართობი: 10.52 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტი გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2.მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N7 (ფართობი: 4.10 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა N7 კომერციული დანიშნულების ობიექტზე განისაზღვროს 780 (შვიდას ოთხმოცი) ლარით.

4. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

5. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა N7 კომერციული დანიშნულების ობიექტზე განისაზღვროს 1 (ერთი) წლის ვადით.

6. აუქციონის პირობად განისაზღვროს: გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე, მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N7 ქონება გაცემულ იყოს კომერციული დანიშნულებით (სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად) ასევე, N7 ქონების მიმდებარედ განხორციელდეს მოვლა-პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა).

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**